



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 31  
 26/02/2018

31-07-4-201802261016



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №31  
 2018 წლის 23 თებერვალი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების  
 ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 139-ე მუხლის „ბ“ ნაწილისა და 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდი განისაზღვროს 2017 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 იანვრამდე.

**მუხლი 2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

**მუხლი 3.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო